მიმდინარე წლის 8-11 იანვარს საქართველოში დაგეგმილი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ბატონი ტანაკა, მიწის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და ტურიზმის სახელმწიფო მინისტრი შეხვდა ბატონ ზურაბ ალავიძეს, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს და ბატონ გიორგი გახარიას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს.

ბ-ნმა ტანაკამ ბ-ნ ზურაბ ალავიძესთან, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან შეხვედრის დროს ხაზი გაუსვა იაპონიის მაღალკვალიფიციური ტექნოლოგიების უპირატესობებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პროექტის გაუმჯობების საკითხში, რომელიც ამჟამად ხორციელდება იაპონიის ოფიციალური განვითარების დახმარების (ODA) ფარგლებში. შეხვედრის დროს ქართულმა მხარემ გამოიჩინა ინტერესი იაპონიის უმაღლესი ტექნოლოგიების მიმართ და მოითხოვა დროულ იაპონური საგრანტო მხარდაჭერა ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის უზრუნველსაყოფად.

ბ-ნი გიორგი გახარიას, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის პრეზენტაციის შემდეგ, რომელიც ეხებოდა საინვესტიციო შესაძლებლობებს ტრანსპორტისა და ტურიზმის სფეროში, ორივე მხარემ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

ორივე შეხვედრის შედეგად, მხარეებმა დაადასტურეს, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა გაგრძელდება და გააღრმავებს ორმხრივ ურთიერთობებს.

შეხვედრა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ბატონ ზურაბ ალავიძესთან

შეხვედრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ბატონ გიორგი გახარიასთან